სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 19 აპრილი, 2023
ადგილმდებარეობა: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცინო ცხვედიანი, ნათია კორკოტაძე, ტარიელ კაკაბაძე, თორნიკე ბაქრაძე, რაისა ლიპარტელიანი, როინ მიგრიაული.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) ნიკა სოლომნიშვილის, ვასილ გაბუნიას, მალხაზ აბრამიშვილის, თამარ ნადირაძის, არმაზ ძირკვაძის, ნუცა თოფურიას, რუსუდან აგურაშვილის, ანა ჯელაძის, ანა ებანოიძის, ნიკოლოზ ფხალაძის, ილია ქავთარაძის, ქეთევან მიქელაშვილის, გოჩა მარკოიძის, თამარ ანთაურის, რეზო ჩინჩალაძის, ნათია ზოიძის და ანა მოწონელიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის

დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნიკა სოლომნიშვილის, ვასილ გაბუნიას, მალხაზ აბრამიშვილის, თამარ ნადირაძის, არმაზ ძირკვაძის, ნუცა თოფურიას, რუსუდან აგურაშვილის, ანა ჯელაძის, ანა ებანოიძის, ნიკოლოზ ფხალაძის, ილია ქავთარაძის, ქეთევან მიქელაშვილის, გოჩა მარკოიძის, თამარ ანთაურის, რეზო ჩინჩალაძის, ნათია ზოიძის და ანა მოწონელიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

(ბ) აკაკი შანავას განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს აკაკი შანავას განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

თამარ იოსელიანის, მადონა ქეშიკაშვილის, გიორგი ჭიკაიძის, ნუგზარ ოდილავაძის, დავით იმნაძის, თამარ გაბიანის და გვანცა ცატავას განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარ იოსელიანის, მადონა ქეშიკაშვილის, გიორგი ჭიკაიძის, ნუგზარ ოდილავაძის, დავით იმნაძის, თამარ გაბიანის და გვანცა ცატავას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ თამარ ჩანტლაძის კახა წულაძის, თამთა წერეთელის, ნატო მახნიაშვილის, თეონა კვირიკაშვილის და ნიკა სოლომნიშვილის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარ ჩანტლაძის კახა წულაძის, თამთა წერეთელის, ნატო მახნიაშვილის, თეონა კვირიკაშვილის და ნიკა სოლომნიშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შემოსული საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ 2023 წლის 16 თებერვალს აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1-ლი პუნქტის შესაბამისად შემოსულ განცხადებებს საწევრო დავალიანების სხვადასხვა ვადით გადავადების შესახებ შემდეგი განმცხადებლებისგან: ნინო ჩიმაკაძის, ვლადიმერ კიკნაძის, მარიამ სანებლიძის (3980), ნიკოლოზ ზაქარაიას, ანა ყარასაშვილის, თამარ სანიკიძის (9861), მაგული ლიპარტელიანის, მანანა აფხაძის, გიგა კოღუას, ირაკლი შელიას, ამირან შვანგირაძის, ნინო ამისულაშვილის, ედვარდ აღდგომელაშვილის, კახაბერ იოსელიანის, ნინო რურუას, გვანცა ასპანიძის, ლეილა თავამაიშვილის, ზვიად ტაბატაძის, ნინო დოლიძის (სიითი N1976), ხათუნა გოდერძიშვილის, ანნა შიშნიაშვილის, ია თოდუას, ნინო მიქატაძის, ხათუნა მანჯგალაძის, ალექსანდრე ახალაძის, თამაზ სვანიშვილის, დარეჯან ზედგენიძის, გვანცა ჩადუნელის, დიანა მარტიაშვილის, შორენა ბოჭორიშვილის, მამუკა ნინუას, მაია სირაძის, ინგა გუნიას, მაია გულიაშვილის, თამთა ზენაიშვილის, მარიამ ყაველაშვილის,

გიორგი დოლიძის (7818), სალომე სამხარაძის, ლედი კორძაძის, გაიოზ ჩარკვიანის, მანანა გელაშვილის, ლელა ქოჩეჩაშვილი, ვასილ ოსეფაშვილის, ხათუნა მარკოიშვილის, ნინო ურთმელიძეს, ნიკოლოზ კვანტრიშვილის, ანა გოგოლაურის, გვანცა ჯოჯუას, მარიკა ნიაზაშვილის, თეონა გურულის, ვახტანგ კეკელიძის, ეკატერინე ციმაკურიძის, რუსუდან კვინიკაძის, ლევან მარსაგიშვილის, გიორგი მდინარაძის, კახაბერ ჭიაბრიშვილის, მზევინარ კოსტავას, თამარ ლომთათიძეს, ანა ჟღენტს, თამარ ხუბულურს, მედეა ინასარიძეს, დიმიტრი კვალიაშვილის, ნანა რევაზიშვილის, ნაირა ჯუკაშვილის, ეკატერინე მახარაშვილს, ივანე იორამაშვილის, ელმინ ისმაილოვის, აპოლონ კონჯარიას, თამარ იმნაიშვილის, ნატო ნებიერიძის, მამუკა ლომიძის, ნათელა კიზივაძის, ლევან კაკაშვილის და გელა ყეინოშვილის.

წევრებმა განაცხადეს, რომ წევრების მიერ მათ განცხადებებში მითითებულია სხვადასხვა ობიექტური გარემოები, რამაც გააძნელა მათთვის საწევრო შენატანის გადახდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია აღნიშნული კოლეგების მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და განისაზღვროს გონივრული ვადა საწევრო დავალიანების გადასახდელად. თავმჯდომარის ინიციატივის თანახმად, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრებიც, ასეთ ვადად განისაზღვრა 2023 წლის 30 სექტემბერი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) ზემოაღნიშნულ პირთა განცხადებები საწევროს გადახდის გადავადების თაობაზე დაკმაყოფილდეს საწევრო დავალიანების გადახდის ვადის გადავადების ნაწილში და მათთვის საწევრო დავალიანების გადახდის საბოლოო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2023 წლის 30 სექტემბერი, 18:00 საათი;

(ბ) ეცნობოთ განმცხადებლებს მიღებული გადაწყვეტილებისა და გადავადებულ პერიოდში საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შედეგების თაობაზე;

(გ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოთ აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს და ფინანსურ მენეჯერს.

საკითხი 5. საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2023 წლის 16 თებერვლის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება 2023 წლის და 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.

აღმასრულებელი საბჭოს 09.03.2023 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა 14 კალენდარული დღით, 2023 წლის 23 მარტის ჩათვლით.

აღმასრულებელი საბჭოს 23.03.2023 წლის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა დამატებით კიდევ 27 კალენდარული დღით, 2023 წლის 19 აპრილამდე.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების ინფორმირება ინტენსიურად ხორციელდებოდა: საწევრო დავალიანების მქონე წევრთა სია გამოქვეყნდა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gba.ge) და ამასთან, წევრებს ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე არაერთგზის გაეგზავნათ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ასოციაციისთვის ცნობილ საკონტაქტო ტელეფონის ნომრებზე. ასოციაციის წევრთა ნაწილმა მომართა ასოციაციას საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თხოვნით, რაც დაკმაყოფილდა. მიუხედავად ამ ღონისძიებებისა, 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა დაზუსტებული რაოდენობა არის 508, რომელთაგან 2023 წლის საწევრო დავალიანების გადავადების მოთხოვნით ასოციაციას მომართა 69-მა წევრმა. 2022 წლის საწევრო დავალიანება კი უფიქსირდება 36 წევრს, რომელთაგან საწევროს გადავადების მოთხოვნით, ასოციაციას მომართა 14-მა ადვოკატმა, ხოლო 2021 წლის საწევრო დავალიანება უფიქსირდება 24 წევრს, რომელთაგან საწევროს გადავადების მოთხოვნით, ასოციაციას მომართა 5-მა ადვოკატმა,

თავმჯდომარემ წევრებს განუმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღმასრულებელი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის თაობაზე. "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21[3] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, იღებს გადაწყვეტილებას წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფარულ კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2023 წლის და 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ფარული კენჭისყრის შედეგად ერთხმად, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

(ა) აღმასრულებელი საბჭოს 16.02.2023 წლის გადაწყვეტილებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, გამოცემულ იქნას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და 2023 წლის და ასევე, 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრებს შეუწყდეთ ასოციაციის წევრობა "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის 1-ლი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო დავალიანების გადაუხდელობის გამო (დანართი #1: დავალიანების მქონე წევრთა სია);

(ბ) ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ წევრთა სია განთავსდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge 1 (ერთი) თვის ვადით. ამასთან, ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ პირებს, ასოციაციისათვის ცნობილ მობილური ტელეფონის ნომრებზე გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მათთვის წევრობის შეწყვეტის თაობაზე;

(გ) ასოციაციის წევრობაშეწყვეტილ პირებს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის თარიღიდან, 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, საწევრო დავალიანების გადახდის შეთხვევაში, გადახდისთანავე აღუდგეთ ასოციაციის წევრობა.

(დ) 2023 წლის და ასევე, 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე იმ წევრებს, რომელთაც აღმასრულებელი საბჭოს წინამდებარე გადაწყვეტილებით 2023 წლის 30 სექტემბრამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდის ვადა, ეცნობოთ, რომ განსაზღვრულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მათზე გავრცელდება 19.04.2023 წელს გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

(ე) წინამდებარე აქტისა და მასში ასახული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლამდე, 2023 წლის და 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ ასოციაციაში შემოსულ განცხადებებზე გავრცელდეს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საწევროს დავალიანების გადახდის ვადის 2023 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გადავადებისა და აღნიშნულ ვადაში საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე.

(ვ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოთ აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს და ფინანსურ მენეჯერს.

საკითხი 6. ეთიკის კომისიის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხის განხილვა ადვოკატ ნანა მაისურაძის მიმართ.

წევრები გაეცნენ ასოციაციის ეთიკის კომისიის მომართვას, რომლის თანახმად, ეთიკის კომისიამ ადვოკატ ნანა მაისურაძის (სიითი N2808) მიმართ 2022 წლის 22 ოქტომბრის საქმეზე N076/21 მიიღო გადაწყვეტილება საადვოკატო საქმიანობის უფლების 6 (ექვსი) თვის ვადით ჩამორთმევის თაობაზე. ადვოკატმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასმაართლოს სადისციპლინო პალატაში. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება 2023 წლის 01 მარტს დარჩა უცვლელი, რაც ამჟამად კანონიერ ძალაშია შესული.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-7 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ,,აღასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებებს”. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 22 ოქტომბრის საქმეზე N076/21 მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ადვოკატ ნანა მაისურაძეს (სიითი N2808) მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების 6 (ექვსი) თვის ვადით ჩამორთმევის თაობაზე საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0), ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-7 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულდეს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2022 წლის 22 ოქტომბრის საქმეზე N076/21 მიღებული გადაწყვეტილება და ნანა მაისურაძეს (სიითი N2808) შეუჩერდეს საადვოკატო საქმიანობის უფლება 6 (ექვსი) თვის ვადით.

საკითხი 7. სოფიო ჯაფარიძის განცხადების განხილვა, კომიტეტის წევრობიდან გათავისუფლების შესახებ.

წევრები გაეცნენ სოფიო ჯაფარიძის განცხადებას ადვოკატის პროფესიული უფლებების კიმიტეტის წევრობიდან გათავისუფლების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის დებულების 6.5 მუხლის თანახმად, კომიტეტის წევრს შესაძლოა ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილების ვადა, პირადი განცხადების საფუძველზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სოფიო ჯაფარიძის განცხადება და ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის დებულების 6.5 მუხლის თანახმად, მას ვადამდე შეუწყდეს კომიტეტის წევრობის უფლებამოსილება

საკითხი 8. ანი გულიაშვილის განცხადების განხილვა კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ ადვოკატ ანი გულიაშვილის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით, ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

(ა) დაკმაყოფილდეს ანი გულიაშვილის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ანი გულიაშვილის კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტში წევრებად.

(ბ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების კანდიდატურების - ტურფა ნიკურაძის, დიმიტრი გაბუნიას, ქეთევან ბაშინურიძის და ილია მახარაძის განაცხადებებს თანდართული ბიოგრაფიებით. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად ტურფა ნიკურაძის, დიმიტრი გაბუნიას, ქეთევან ბაშინურიძის და ილია მახარაძის კანდიდატურები.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 10. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

თეიმურაზ წიქვაძის განცხადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ თეიმურაზ წიქვაძე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანდა 2017 წლის 1-ლ ივნისს, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

განმცხადებელს წარმოდგენილი ქონდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2005 წლის 5 ოქტომბრის ცნობა, რომლის თანახმადაც დგინდებოდა, რომ თეიმურაზ წირქვაძემ 2005 წლის 16 ივლისს ჩაბარებული ქონდა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

განმცხადებელი ითხოვდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მინიჭებას, წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადვოკატთა, მოსამართლეობის ან/და პროკურატურის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელ სერტიფიკატს აქვს 10 (ათი) წლიანი ვადა, რა ვადაშიც პირი უნდა გაწევრიანდეს ადვოკატთა ასოციაციაში, გამწესდეს მოსამართლედ ან პროკურორად. წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე დგინდება, რომ თეიმურაზ წიქვაძის მიერ 2005 წლის 16 ივლისს ჩაბარებული პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასული იყო 10 (ათი) წლიანი ვადა, რა ვადაშიც იგი არ გაწევრიანებულა ადვოკატთა ასოციაცია, არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად. შესაბამისად, თეიმურაზ წიქვაძის მიერ პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სერტიფიკატს გასული აქვს ვადა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს თეიმურაზ წიქვაძის განცხადება.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე